PDF Eraser Free

დანართი №2

სსიპ კოლეჯი „მერმისი“

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე:
ნანა შარაბიძე
წევრები:
ზაირა ბერიძე

(თბილისი, 2021)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ კოლეჯი „მერმისი“

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☒ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

PDF Eraser Free

სსიპ კოლეჯ ,,მერმისი" მიერ, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარმოდგენილ იქნა განაცხადი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „სარესტორნო მოსახურება“ დამატების შესახებ. ცენტრის დირექტორის №357622 (14.04.2021წ.), ბრძანებით, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება განახორციელოს დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში გამოგზავნილი დოკუმენტაცია, შედგა განრიგი.განრიგის შესაბამისად 2021წლის 22 აპრილს ჩატარდა დისტანციური ვიზიტი, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს, სასწავლო პროცესის მენეჯერს. ექსპერტების მიერ განხორციელდა კოლეჯის ონლაინ დათვალიერება: მატერიაური რესურსების, სასწავლო აუდიტორიების და ბიბლიოთეკის ნახვა. შედგა გასაუბრება პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან, როგორც დარგობრივი მოდულების, ასვე ინტეგრირებული მოდულების ფარგლებში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

-

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

საგანმანათლებლო პროგრამა ახალია.

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

-

VII. რეკომენდაციების შეჯამება

-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	სარესტორნო მომსახურება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სარესტონო მომსახურებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1013
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	პროგრამა დამტკიცებულია 12/03/2021 წლის №04-76 ბრძანებით
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	ქ. თბილისი, დავით გურამიშვილის ჩიხი N9ა
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური/ინტეგრირებული
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	მოდულური 40 სტუდენტი
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	40
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	146
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	86
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	176
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒	☐	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

1. **პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;**

პროფესიული საგანანმანათლებლო პროგრამის „სარესტორნო მომსახურება“ განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება გამომდინარეობს კოლეჯის მიისიდან, სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმიდან. გამომდინარე მოამზადოს სამეწარმეო და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ცოდნითა და უნარებით აღჭურვილი კონკურენტუნარიანი სპეციალისტები და ამით ხელი შეუწყოს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას/სტაბილურობას. პროგრამის განხორცილების მიზანშეწონილობის დასაბუთებისას კოლეჯმა გაითვალისწინა: ა) ტურიზმის მიმართულების პროგრამების რაოდენობის ზრდა; ბ) სარესტონო მომსახურების სფეროს კვალიფიციურ სპეციალისტზე მზარდი მოთხოვნა; გ) საბაზო განათლების პირთა სწავლის გაგრძელების და შემდგომი დასაქმების შესაძლებლობა; დ) შრომის ბაზრის კვლევის შედეგები

2. **საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;**

„სარესტორნო მომსახურება“ პროფესიულ საგანანმანათლებლო პროგრამაზე არაინტეგრირებული სასწავლო გეგმით განხორციელების შემთხვევაში, დაშვების წინაპირობა არის სრული ზოგადი განათლება. აღნიშნული პროგრამის ინტეგრირებული სასწავლო გეგმით განხორციელების შემთხვევაში, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა არის საბაზო განათლება, რომელიც შეესაბამება 2019 წლის 19 აგვისტოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N170/ნ ბრძანებით დამტკიცებულ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესსა და პირობებს.

3. **პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;**

დაწესებულებას დირექტორის მიერ დამტკიცებული აქვს „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის წესი“. აღნიშნული წესის მიხედვით პროგრამაზე ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა ხდება A,B და C სასწავლო გარემოში სამუშაო ადგილების რაოდენობის, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობის, საწარმოო პრაქტიკის ობიექტების რესურსის და მოდულების განმახორციელებელი პირების რაოდენობების მიხედვით. პროგრამის დამატების მიზნით დაწესებულებას ასევე წარმოდგენილი აქვს „სარესტორნო მომსახურების“ პროგრამაზე მოთხოვნილი კვოტის განსაზღვრის დოკუმენტი 40 პროფესიულ სტუდენტზე ორ ცვლიანი სწავლების გთვალისწინებით.

4. **საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

კოლეჯში არსებული პროგრამით გათვალისწინებული რესურსი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. საგანმანათლებლო რესურსი, გაწერილია პროგრამის მოდულების დამხმარე ჩანაწერების ნაწილში. პროგრამას თან ერთვის „სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსის“ დანართი, რომელშიც თითოეული მოდულისთვის განსაზღვრულია აღჭურვილობები და სახარჯი მასალები რაოდენობების მითითებით. დანართით გათვალისწინებული აღჭურვილობის ჩამონათვალი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

პროფესიული საგანანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს ერთ არჩევით მოდულს - საწარმოო პრაქტიკა, რომელიც ლოგიკურ ბმაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

პროფესიულ საგანანმანათლებლო პროგრამებს ამტკიცებს კოლეჯის უფლებამოსილი პირი, სსიპ - კოლეჯის „მერმისი“ დირექტორი.

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

პროგრამის სახელწოდება - „სარესტორნო მომსახურება“ ასახავს პროგრამის შინაარსს, არ არის შეცდომაში შემყვანი, არ იწვევს არასწორ მოლოდინებს და შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს.

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

“სარესტორნო მომსახურება“ პროფესიული საგანანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია „სასტუმრო, რესტორანი, კვება“ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე. პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა და სწავლების მეთოდოლოგია. პროგრამა (ინტეგრირებული) ასევე შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 აგვისტოს №170/ნ ბრძანება „საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“.

პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის მისია
- პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება
- ბაზრის კვლევა
- სარესტორნო მომსახურება - პროგრამა
- დაწესებულების წარმომადგენლებთან და პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრება

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;სსიპ კოლეჯ „მერმისის“ საკუთრებაშია „სარესტონო მომსახურება“ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო მატერიალური რესურსები, რაც დასტურდება ინვენტარიზაციის წიგნით, შესყიდვების დოკუმენტებით და ვიზუალური დათვალიერებით, რომელიც განხორციელდა დისტანციურად ვიდეო ზარის საშუალებით. დაწესებულება პროგრამის განხორციელებისას ითანამშრომლებს გარკვეული მოდულების ფარგლებში პარტნიორ ორგანიზაციებთან, სხვადასხვა სწავლის შედეგის მისაღწევად, როგორიცაა მაგალითად სარესტორნო მომსახურების პროგრამული უზრუნველყოფა, გამომდინარე იქედან რომ დაწესებულება გეგმავს სამომავლოდ პროგრამის ადგილზე შეძენა-გამოყენებას და ამ ეტაპისათვის ხელმისაწვდომი ჯერ კოლეჯის ბაზაზე არაა, ის თანამშრომლობს პარტნიორ ორგანნიზაციასთან ამ სწავლის შედეგის მისაღწევად. პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლებთან გასაუბრებით და ასევე ურთიერთანამშრომლობის დოკუმენტით არსებული შეთანხმება დასტურდება.

კოლეჯში არსებული რესურსი - AB, C და B სასწავლო გარემოში სამუშაო ადგილები, კერძოდ:

- ✓ სარესტორნო მომსახურების თეორიულ გარემოში სამუშაო ადგილები (AB გარემო) და (მედდის კაბინეტი - C გარემო)
- ✓ კომპიუტერულ კლას-კაბინეტში არსებული სამუშაო ადგილები (B გარემო)
- ✓ სასტუმროს ოთახის სახელოსნო (C გარემო)
- ✓ სასწავლო სამზარეულოში სამუშაო ადგილები (C გარემო)
- ✓ რესტორნის სერვის მენეჯერის სიმულაციური ოთახში სამუშაო ადგილები (C გარემო)

ინტეგრირებული ზოგადი მოდულებისათვის განკუთვნილი სივრცეები:

ა) ქიმიის ლაბორატორია (AC გარემო)

ბ) ფიზიკისა და ბიოლოგიის ლაბორატორია (AC გარემო)

- ✓ კვირეული დატვირთვა სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ზოგადი, საერთო და პროფესიული მოდულების კვირეული დატვირთვა
- ✓ ინტეგრირებული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ზოგადი, ინტეგრირებული, საერთო და პროფესიული მოდულების კვირეული დატვირთვა
- ✓ იმ მოდულების კვირეული დატვირთვა „სასტუმრო მომსახურების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში, რომლებშიც გამოიყენება სასტუმრო ოთახის სახელოსნო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

- ✓ მოდულების განმახორციელებელი მასწავლებლების რაოდენობა
- ✓ კოლეჯის პარტნიორ კომპანიების მფლობელობაში არსებული რესურსით პროგრამის მოდულებისათვის: სასტუმროს, რესტორნის, სამზარეულოს დასუფთავების უზრუნველყოფა (ს.შ.3, ს.შ. 5), სერვისი და სერვირება (ს.შ.6, ს.შ.9), საწარმოო პრაქტიკა

კოლეჯის რესურსი - პროგრამისათვის განკუთვნილ თითოეულ სასწავლო გარემოში (თეორიული აუდიტორია, სასწავლო სამზარეულო, რესტორნის სერვის მენეჯერის სიმულაციური ოთახი, კომპიუტერული კლას-კაბინეტი, ქიმიის ლაბორატორია, ფიზიკისა და ბიოლოგიის ლაბორატორია) სამუშაო ადგილების რაოდენობა არის 20 - 20.

„სარესტორნო მომსახურების“ პროგრამაზე მოდულური სასწავლო გეგმით სწავლებისას პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს **20** სტუდენტს ერთ ცვლაში, ხოლო ორ ცვლაში **40** სტუდენტს.

„სარესტორნო მომსახურების“ პროგრამაზე ინტეგრირებული სასწავლო გეგმით სწავლებისას პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს **20** სტუდენტს ერთ ცვლაში, ხოლო ორ ცვლაში **40** სტუდენტს.

ასევე კოლეჯის პარტნიორი კომპანიების მფლობელობაში არსებული რესურსით პროგრამის მოდულებისთვის სასტუმროს, რესტორნის, სამზარეულოს დასუფთავების უზრუნველყოფა, სერვისი და სერვირება, საწარმოო პრაქტიკა.

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა შესაძლებელია პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

დაწესებულების მიერ განსაზღვრულია მოდულების შესაბამისად განმახორციელებელი პირები, რომელთა მოდულების შესაბმაისობა მოცემულია პროგრამის დანართის N3 თანახმად, რის მიხედვითაც ირკვევა რომ პროგრამის მდგრადომის მიზნით თითოეულ მოდულზე გათვალისწინებულია მინიმუმ ორი განმახორციელებელი მასწავლებელი. ასევე, აღნიშნული დანართის მიხედვით პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 12 (თორმეტი) პროფესიული განათლების მასწავლებელი, აქედან დარგობრივ მოდულებს განახორციელებს ექვსი დარგობრივი კომპეტენციის მქონე პროფესიული მასწავლებელი. ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებლად შერჩეულია თითოეული მოდულისათვის ორი პროფესიული განათლების პედაგოგი, რაც პროგრამის მდგრადიბას უზრუნველყოფს.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

პროგრამის განმახორციელებელი პირები დაწესებეულების მიერ განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად არიან შერჩეულები და რომლებიც რელევანტურნი არიან კონკრეტული მოდულის განსახორციელებლად. წარმოდგენილი პირადი საქმეებით, დანიშვნის აქტებით და გაფორმებული ხელშეკრულებებით მტკიცდება, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. ზოგადი და საერთო პროფესიული მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების დადასტურებული კომპეტენცია. დისტანციურად განხორციელებული ვიზიტის დროს ექსპერტები გაეცნენ მასწავლებელთა პირად საქმეებს, ასევე, ჩატარდა ინტერვიუები რამდენიმე პროფესიული განათლების მასწავლებელთან, მათ შორის ინტეგრირებული მოდულის განმახორციელებელებთან. პროფესიული განათლების მასწავლებლებმა დაადასტურეს როგორც საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში ჩართულობა, ასევე, მისი განვითარების მიზნით დაწესებულების აქტივობებში მონაწილეობა. მათთან ინტერვიუს მიმდინარეობისას გაირკვა, რომ იცნობდნენ მოდულის შინაარსს, გააჩნდათ მისი განხორციელების კომპეტენცია, გააზრებული ჰქონდათ მოდულის განხორციელების მიდგომები, იცნობდნენ ინტერაქტიული სწავლების მეთოდებს და შეფასების წესებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია „სარესტორნო მომსახურება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების დარგის მასწავლებლების სამუშაო გამოცდილება, მრავალწლიანი პედაგოგიური და დარგობრივი გამოცდილება. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

„სარესტორნო მომსახურება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის მიერ, რაც ფიქსირდება პროგრამის დამტკიცების აქტში. დისტანციურად განხორციელებული ვიზიტის ფარგლებში ექსპერტები გაესაუბრნენ პროგრამის ხელმძღვანელს, გადაამოწმეს მისი პირადი საქმე. მნიშვნელოვანია, რომ პროგრამას ჰყავს პრაქტიკული გამოცდილების მქონე, დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, იგი წლების განმავლობაში მუშაობდა პროგრამის განმახორციელებელ პედაგოგად და ასევე კვალიფიკაცია აქვს პროგრამის შესაბამისი. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამას ჰყავს დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

დაწესებულებას დამტკიცებული აქვს „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“ და „ბიბლიოთეკის დებულება“, რომლითაც განსაზღვრულია კოლეჯის ბიბლიოთეკის ფუნქციონირების ძირითადი პრინციპები, ბიბლიოთეკის ფუნქციები და ამოცანები და ბიბლიოთეკარის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

მოვალეობები. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას, ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები დამუშავებულია შესაბამისი წესის მიხედვით. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანთლებლო რესურსები ხელმისაწვდომია როგორც ბეჭდური ასევე ელექტრონული სახით. ექსპერტთა მიერ შერჩევით გადამოწმდა მოდულებში მითითებული ლიტერატურა, რის შედეგადაც დადგინდა, რომ ბიბლიოთეკის ფონდი შეესაბამება მოდულებში მითითებულ ლიტერატურას. აქვე აღსანიშნავია, ის ფაქტი რომ დარგობრივი მოდულის ერთ - ერთმა განმახორციელებელმა მასწავლებელმა შექმნა ახალი სახელმძღვანელო, რომლის გამოყენება მას შემდეგ იქნება შესაძლებელი, როცა ცვლილება შევა საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში და განახლდება სასწავლო ლიტერატურა. ახალი რესურსები ასევე ხელმისაწვდომი იქნება ბიბიოთეკაშიც.

საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

დაწესებულება სრულად ადაპტირებულია სსსმ და შშმ პირებისათვის, რაც კოლეჯის გარემოს უნივერსალური დიზაინით მოწყობაც ადასტურებს. კოლეჯს ყავს სსსმ და შშმ სტუდენტების მხარდასაჭერად ინკლუზიური განათლების გუნდი. საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი უზრუნველყოფს დამატებით მომსახურებას, როგორიცაა ტრანსპორტით მომსახურება, სივრცეში მობილობის და ორიენტაციის სპეციალისტი, ჟესტური ენის სპეციალისტი, ბიბლიოთეკაში შესაძლებელია საგანმანათლებლო რესურსების ადაპტირება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების გათვალისწინებით.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

სსიპ კოლეჯის „მერმისი“ საგანმანათლებლო პროგრამის „სარესტორნო მომსახურება“ განხორციელების მდგრადობა უზრუნველყოფილია დაწესებულების ფინანსური რესურსით. კოლეჯს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი, რომელიც შემოსავლებისა და ხარჯვითი ნაწილისგან შედგება. ასევე განსაზღვრულია რენტაბელობის ზღვარი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- „ბიბლიოთეკის დებულების და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“;
- განმახორციელებლების პირადი საქმეები;
- ურთიერთთანამშრომლობის დოკუმენტები პარტნიორ ორგანიზაციებთან
- ინტერვიუირება დაწესებულების წარმოადგენლებთან და პროგრამის ხელმძღვანელთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

- ვიდეო ზარის საშუალებით დათვალიერება მარტერიალური და საგანამანათლებლო რესურსის;

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

კოლეჯს დირექტორის მიერ ბრძანებით დამტკიცებულია, მერმისის საქმიანობის, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“, რომელიც აგებულია დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-გადახედე/გაუმჯობესე ციკლის მიხედვით და ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს, დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირს, ასევე სწავლა-სწავლების და სტუდენტთა/მსმენელთა მიერ სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების პროცესის მონიტორინგს და შეფასებას. ინტერვიუირების დროს დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ისინი პერიოდულად ახდენენ სასწავლო პროცესის მონიტორინგს და ესწრებიან ლექციებს მიმდინარეობის პროცესს, რის შედეგადაც ახდენენ შედეგების ანალიზს. დაწესებულების განმარტებით, მონიტორინგის და დაინტერესებული მხარეების გამოკითხვების შედეგების ანალიზის საფუძველზე მოახდენენ პრობლემის იდენტიფიცირებას, რის საფუძველზეც შეიმუშავებენ განვითარების გეგმას და რეკომენდაციებს.

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს სსიპ კოლეჯის „მერმისი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა“, რომლის მიხედვითაც გარკვეული საჭიროებებიდან გამომდინარე კოლეჯი გაანალიზებს პროგრამის განხორციელების შეფასების შედეგებს და საჭიროებისამის შემთხვევაში განახორციელებს ცვლილებებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ კოლეჯის „მერმისი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა“;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

- „კოლეჯის მერმისის საქმიანობის „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუირებით

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან / სასწავლო საწარმოსთან/ თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით / ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;**

„სარესტორნო მომსახურება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმები (ინტეგრირებული, არაინტეგრირებული) აგებულია განმეორებითი შეფასებისთვის დროის შუალედების დაცვით. პროფესიული სტუდენტის კვირეული საშუალო დატვირთვა არ აღემატება 30 საათს. პროგრამი არ თვალისწინებს მოდულის წინაპირობებს. ინტეგრირებული სასწავლო გეგმა გაწერილია 3 სასწავლო წელზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

2.პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

სტუდენტთა ინტერესების გასათვალისწინებლად და სხვადასხვა შემხვედრ საჭიროებებზე რეაგირების მიზნით, სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში განსაზღვრულია პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები, პროფესიული სტუდენტის/მსმენელის შეფასების/შედეგის დადასტურების გასაჩივრების პროცედურები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნის პროცედურები, სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები.

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

„სარესტონო მომსახურება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი მოდულები ითვალისწინებს ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ სწავლების სარეკომენდაციო მეთოდებს, რომელიც არის თანამედროვე და უზრუნველყოფს დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. დაწესებულების წარმომადგენლებმა ექსპერტებს განუცხადეს, რომ მასწავლებლები და ადმინისტრაციის წარმომადგენლები მონაწილეობას იღებენ მასწავლებელთა სახლის, ხარისხის ცენტრის, სამინისტროს და დაინტერესებული მხარეების მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში/სამუშაო შეხვედრებში.

4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით „სარესტორნო მომსახურება“ პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებული იქნება პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები, რაც დასტურდება სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გაწერილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნის მექანიზმის მიხედვით; ვიზიტის დროს მოხდა გასაუბრება დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, რომლის ფარგლებშიც მათ აღნიშნეს, რომ ამ ეტაპამდე ინდივიდუალური გეგმის შემუშავების საჭიროება არ ჰქონიათ.

5.პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

პროფესიული საგანმანთლებლო პრაგრამას აქვს არჩევითი მოდული საწარმოო პრაქტიკა, რომლის სწავლის შედეგების მიღწევა იგეგმება პარტნიორი ორგანიზაციების ბაზაზე, სადაც უზრუნველყოფილი იქნება შესაბამიის გარემო პირობები და უსაფრთხოების მექზნიზმები. პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან გასაუბრებით აღნიშნული დასტურდება და იკვეთება მათი ჩართულობის მზაობა პროგრამის განხორციელებაში.

6.სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო გარემოში. კოლეჯში უზრუნველყოფილია ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოება და არსებობს ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, კოლეჯში ორივესართულზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ევაკუაციის გეგმები, არსებობს სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები, სათანადოდ აღჭურვილი მედპუნქტი, მედიკამენტები და მედდის საშტატო ერთეული. კოლეჯში გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია ვიდეო სათვალთვალო კამერები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები
- „სარესტონო მომსახურება“ პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა;
- დაწესებულების წარმომადგენებთან ინტერვიუირებით;

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;**

დირექტორის მიერ დამტკიცებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, რომლის თანახმადაც პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი/ობიექტური. კოლეჯში დამტკიცებულია შეფასების ინსტრუმენტის ფორმა, რომლის მიხედვითაც ხდება ინსტრუმენტის შემუშავება.

2. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;**

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი განსაზღვრავს შეფასების ინსტრუმენტების შიდა ვერიფიკაციას და ვალიდაციას. აღნიშულ რეგულაციებში გაწერილი შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი შეესაბამება შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს და იგი დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის ნაწილია. რეგულაციებში მითითებულია ვერიფიკაციის პროცესში ჩართული პირები და დოკუმენტების მიხედვით აღწერილი პროცესი ინტერესთა კონფლიქტს გამორიცხავს.

3. **პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;**

პროფესიული სტუდენტის მიერ დადასტურებული სწავლის შედეგები კომისიის მიერ ფორმდება შესაბამისი ოქმითა და უწყისით, შემდგომ პროფესიული განათლების მასწავლებელი შეფასებასთან დაკავშირებულ მონაცემებს/ინფორმაციას/მტკიცებულებებს მიღება-ჩაბარების აქტით გადასცემს კოლეჯის სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტს სათანადო აღრიცხვის მიზნით. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში შექმნილი მტკიცებულებები კოლეჯში დაცულია და ინახება შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3(სამი) წლის ვადით, ხოლო უწყისები სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ გადაეცემა არქივს და ინახება მუდმივად.

4. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებისთვის გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპის გამოყენებით. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, განმავითარებელი შეფასების გამოყენების ძირითადი მიზანი არის პროფესიული სტუდენტების შემდგომ განვითარებაზე ზრუნვა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“
- დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. დისტანციური გასაუბრების განრიგი ჩაბარებულია დასკვნის პროექტთან ერთად

თარიღი

01.06.2021

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------